



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 158
23/01/2018

ქალაქი ბათუმი

158-05-4-201801231611



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 15 იანვარს გამოცხადებული რეორგანიზაციის პროცესში კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, 2018 წლის 15 იანვარს მუნიციპალიტეტის მერის N-120 ბრძანებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდა რეორგანიზაცია. რეორგანიზაცია არის საჯარო დაწესებულების ან მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულის ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება საჯარო დაწესებულების ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია სრულდება ამ საჯარო დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტში ან/და საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილებების კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლით.

საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის დაგეგმვა;

ბ) საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება;

გ) საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის გამო შტატების შემცირებისას გასათავისუფლებელ მოხელეთა მობილობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 15 იანვარს გამოცხადებული რეორგანიზაციის პროცესში კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გიორგი ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მეორე სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების უფროსის დროებით შემცვლელი - კომისიის მდივანი;

დ) დიმიტრი ბახტაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

- ე)ტარიელ ნაკაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
2. კომისიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში არაუგვიანეს 23 თებერვლისა უზრუნველყოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 15 იანვარს გამოცხადებული რეორგანიზაციის პროცესში კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ: საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება;
3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

